

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საბავშვო



საბავშვო ჟურნალი

მარტი
№ 5

1910

მთლიან წარმომადგენლობას.
წელიწადი ჰერძესე

შინაარსი

I—ენძელა,—დექსი, შ. მღვიმეულისა.....	3
II—ნაკადული,—(აზრი აღებუდია), შ. კინწურაშვილისა.....	5
III—მწყემსი ქალი და ბუბრის მწმენდელი,—(ანდერსენიდან) კორდელისა.....	8
IV—ქვა,—(თარგმანი), ღ. ბოგვაძისა.....	15
V—ჯოჯო,—(ვაგნერიდან), დ. უთიანისა.....	16
VII—ვირის თავგადასავალი.—XXIV ქურდები,—(ფრან- კულით) ან. ამილასკარისა.....	17
VIII—ა) გამოცენები,—ბ) რებუსი და აღსნა.....	24





ვალინაძე 80-VI.

№ 5

მაისი 1910 წ.



ტფილისი, ელექტრონის სკამბა სოციალ-დემოკრატიული პარტიული გამანაგობისა.

შინაარსი

I—ენძელა, — ლექსი, შ. შლემბერგისა	3
II—ნაკადული, — (აზრა აღებუდია), შ. კანჭერაშვილისა	5
III—მწყემსი ქალი და ბუბრის მწმენდელი, — (ანდერსენიდან) კორდელისა	8
IV—ქვა, — (თარგმანი), ჯ. ბოგვაძისა	15
V—ჯოჯო, — (ვაგნერიდან), დ. უიფიანისა	16
VII—ვირის თავგადასავალი. —XIV კურდები, — (ფრან- კულით) ან. აშილასვარისა	17
VIII - ა) გამოცანები, — ბ) რებუსი და აღსნა	24





ენკელა

(უძლვნი ცქვიტს)



ოცა მსე შემოიმაღლებს,
მთვარე კი დაბლა ცურდება,
თოვლი და ეინვა ფერს ჰკარგავს
და დედამიწა ფუკდება,

უველანი გულის ფანცქალით
წამის-წამ შელოდებიან,

რაკი გავხნდები, ბალები
ცას სისარულით სწვდებიან.

„დედა არ მომიკვდება!“ —
სძირდება ივესნა-ფიცელი —
„უწინ მე გავივინო
ენძელას ტკბილი სიცელი“.

აქ კინკლაობენ ბიჭები,
იქ ზაწა გოგო-ქალები
და უველას გაუბადიცებით
ჩემსკენ უჭირავთ თვალები.

მკრეფავენ, მისახარებლად
ერთმანეთს ეცილებიან;

„ახლა კი გაზაფხულდაო“,
 ვაძიანხიან, — სტკებებიან.

ლოცავენ, მადლსა სწირავენ
 მიწას, ჩემს დედა-მძობელსა
 და სოფლად მიმაქროლებენ,
 ვით ზირველ მახარობელსა.

წინ-წინ მე მოვალ ვეველასე
 როცა კი გაზაფხულდება,
 მაგრამ... ვაგლანს მე... დღე ჩემი,
 ისევე ძალე სრულდება.

არც ისე ვჩივი, კაცმა სთქვას,
 ამას არ უნდა ფიცელი,
 რადგან თან მიმდევს ღოცვითა
 ვამარჯვებულთა სიცილი.

შ. მღვიმელი





ნაკადული

(ახრი აღებულება)



მირსა და დაბურულ ტეეში, სადაც ერთსელაძე არ ძეუნათებია ბრწეინვალე შხის სხივეს, ცელქი ნაკადული გამოჩუნსუნებდა მიწის გულიდან. სეებსა და ხირგებს ქვეშ ჩუმად მიწანწკარებდა ზაწია ნაკადული და ნახის სიმღერით ოცნებობდა, როდის ვეღირსები ტეის გარედ შხის სხავეებით გაშუქებულ, გაშლილ მინდორში თავისუფლად ჩქრიანდნაო. ბევრი რამ გავკონა ცელქ ნაკადულს ამ საოცარ ცხოვრებისა. გავკონა, როგორის თავკანწირვით იბრძოდნენ მდინარენი წინ აღმართულ



დაბრკოლების დასაძლევად, ზედ ესეთქებოდნენ ქვა-კლდეს, საჯვარდნის კუთხის აფართოვებდნენ და ლაღად მიიკლავებოდნენ... დიად, თავისუფლება სწეუროდა ნაკადულს... დრო გადიოდა და ის კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ ოცნებობდა და სვედიანის დუღუნით ნუგეშობდა.

ასე ძღეროდა და მის სიძღერას ეურს უგდებდნენ ხეები, სოკოები, ჩიტები და ტყის ნადირნი. ხეებ-ძვეწარეებს უუვარდათ ნაკადული სიძღერისათვის, სოკოებს კიდეც იმიტომ, რომ მიწას არ აშრობდა, მშრალ მიწაზე ხომ სოკო ვერ ცოცხლობს; ჩიტები კი ნაკადულის გამაცოცხლებელ ცვარით იკლავდნენ ზაფხულის ზაზანებაში წუურვილს.

ფრინველთ და ნადირთ, სოკოებს — ეველას ერთად უუვარდათ, ძლიერ უუვარდათ ნაკადული.

მაგრამ, აი დრო შეიცვალა. ნაკადულს მოსწეინდა დაბურულსა და დახშულ ტყეში მუდმივ დენა და გადასწევიტა გაძლიერ მინდორზე გასულიყო. მის სურვილს ფრთა ძეასსეს ბელურებმა, რომელნიც გულმოდგინედ უამბობდნენ დობილ ნაკადულს გაძლიერ მინდვრის საოცნებო ამბებს, იქ ცხოვრების თავისუფლებას.

ნაკადულმა გადასწევიტა:

— მამ, ასე, გაუმარჯოს გაძლიერ მინდორს! დეე, ძეც ენახო ერთხელ მაინც ბრწეინვალე მხის სხივები, — ერთხელ მაინც და მერე თუნდ სულიც ამომხდეს!

მეგობარ ნადირთ, ჩიტებს, სოკოებს და ხეებ-ჩირვებს ააეჭმნით ნაკადულის გადასწევიტელება და ეხვეწებოდნენ, ნუ წახვალთ.

— ნუ, ნუ მიდისარ, საეკარელო ნაკადულო! ათასი საფრთხე მოგელის გაძლიერ მინდორზე, აქ დარჩი, — ემუდარებოდა ნაკადულს აღისფერი მარწევი.

— ნუ დაგვტოვებ, ხვენც შეგვიბრალე, უმნოდ წუურვილით ამოეწეებით! — თავს აბრალებდნენ ჩიტები.



ნადირსი ეველასე უკედ უხსნიდენ ნაკადულს, თუ რა მსგავსი
 თხე მოელოდა გაშლილ მინდორსე.

— თავისუფლება სსკვა, მაგრამ იქ ცხოვრება საშობოა;
 ამიტომაც არის, რომ გაშლილ მინდორსე დამ-დამობით თუ
 გამოვდივართ, — ეუბნებოდნენ ნაკადულს.

მაგრამ ნაკადული არავის არ უკლებდა ეურს.

იგი ამბობდა:

— გაუმარჯოს გაშლილ მინდორს! დეე, მეც ვნახო ერთ-
 ხელ მაინც თავისუფალი, ბრწეინვალე მხის სსივები. შენ წინ
 გაფრინდი, საუვარელო, — მიმართა მან ბელურა ჩიტსა, — გზა
 მასწავლე, მე უკან გამოგვეები.

ბელურა გაფრინდა, ნაკადული მსწრაფლ გაედეგნა უკან და,
 აი, კიდევ გავიდა გაშლილ მინდორსე.


— საუცხოვოა! რა სინათლეა! მსვე! ბრწეინვალე მსვე! უხვად
 მომფინე შენი სსივები! — მიმართა მხეს ცელქმა ნაკადულმა.

ჩაიცინა მსემ ნაკადულის თხოვნასე და უხვად გადმოა-
 ვარა ბრწეინვალე სსივები.

ნაკადული გაშრა.. დაიღუბა ნაკადული. მაგრამ ერთხე-
 ლაც არ დაუგმია თავისი ხვედრი, არ დანახებია სიცოცხლე.
 უკანასკნელი მისი ცვარცი-კი, რომელიც სიცხისაგან რამდენ-
 ნისამე წუთის შექდეკ უნდა ამომშრალიყო, თითქოს ნაკადუ-
 ლის ძველ საუვარელ სიტყვებს იმეორებდა:

— ერთხელ ხომ მაინც ვიხილე მსე... მისი ბრწეინვალე
 სსივები!..

მ. კინწურაშვილი





მწევისი ქალი და ბუხრის მწეხნელი

(ანდერსენის)

სოთ თათხში იდგა ძლიერ ძველი ხას მკაფი, რო-
მელ'სუდაც კამოჭრილი იყო ბათხსა:რი ჭაველი და
ფურცლები. ჰატრონებს ეს მკაფი ერგოთ შემკვი-
დრობით დიდუდისაგან; თავიდან ბოლომდის მუშ-
კული იყო სხვა და სხვა ამოჭრილ ვარდებითა და
პროშებით. სოცრად ამოჭრილ კულულებიდან გა-
მოყოთ ტოტების მსგავსი რქიანი თავები ირმის
ნუკრებს. მკაფის შუა ალაგას ამოჭრილი იყო მხეცის მსგავს
კაცის ნაკვთი, რომელიც ვოთომ იცინისო, მაგრამ, სიცი-
ლის მაგიერ, საზარლად დაეკრიჭა გბილები. კაცს ჭქონდა
თხის ფეხები, მუბლზე ჰატარა რქები და გრძელი წვერი; ამი-
ტომაც ემხდნენ სახლში მყოფი ბავშვები „თხის-ფეხება უნ-
ტერ-ღენურალ-კრიკსკომანდირ-სერჟანტს.“ როგორც გმცო-
დინებათ, გრძელ და მხელად გამოხათქმელ ღირსებით მა-
ლიან ცოტანი არიან დასაწყურებულნი. რამ აიძულა ამომჭ-
რელი, რომ ეს ნაკვთი ამ მკაფზე შობათავსა, არ ვიცით; ეს
სულ ერთია, მხოლოდ ამოჭრილი-კი იყო და თვალს არ ამო-
რებადა იქვე სარკის მაგიდაზე მდგომ საუკეთესო ფაიფურისა-



გან გაკეთებულ მწევეს ქალს. ქალს თავსე ოქროს ფერადი ესურა და ოქროთი მორთული ფესხაცმელი ეცვა, ერთ სელში დიდებული ვარდი ეჭირა, მკორეში კი — კომბალი. ერთის სიტყვით, ქანდაკება მშვენიერი სანახავი იყო. იმის გვერდით იდგა ზატარა ბუხრის მწმენდელი, ისიც ფაიფურისა იყო, მხოლოდ მავი როგორც ჭვარტლი. ნამდვილად კი ისეთი წმინდა იყო, როგორც მწევესი ქალი, იმიტომ რომ მხოლოდ წარმოადგენდა ბუხრის მწმენდელს. ბუხრის მწმენდელი კარგად იდგა მავიდასე თავის კაბით. ზირის სახე რძე და ღვინოს უვავდა. რასაკვირველია, ეს ქექანდაკეს შეცდომა იყო; რადგანაც ბუხრის მწმენდელი გაუკეთებია, ზირი-სახეც უნდა გაეთხუნა მურით. ბუხრის მწმენდელი მწევესი ქალის ახლო იდგა; როდესაც ასე ახლოს დანდგეს ერთმანეთთან, სწანს, დაინიშნენ კიდევ. შესაფერსიც იუენენ ორივენი: ლამაზნი, ახალგაზრდანი, ორივენი ერთისა და იმავე ფაიფურისაგან გაკეთებულნი, ორივენი ადვილად გასატეხნი. იქვე ახლოს იდგა მისამე ქანდაკება, თათქმის სამჯურ უფრო დიდი, ვიდრე ჩვენნი დანიშნულები, ეს იყო მოხუცი ჩინელი, რომელსაც თავის კანტური შექმლო. ისიც ფაიფურისა იყო და ახალგაზრდა მწევეს ქალის ზაზად სთვლიდა თავს, თუმცა ამის დამტკიცებას ვერ შესძლებდა. ის ამტკიცებდა, მწევესი ქალი მოვალეა მე მიგდოს უურიო; და კიდევაც აგრძნობინა ეს „ობერ-ღენერალ-კრიესკომანდირ სერუანტს“, როდესაც ამ სამხედრო კაცმა დააზირა მწევესი ქალის ცოლად შერთვა.

— აი, დიდებული საქმრო! ამბობდა მოხუცი ჩინელი — დარწმუნებული ვარ, წითელის ხისაგან არის გაკეთებული; თანაც მთელი მკაფი უნდა ჭქონდეს სახე ვერცხლითა და ოქროთი; მთლად სახესე უნდა იყოს ნიუთებით, რომელიც მიძალული ექნება სადმე ფარულ ალზგას.

— არა მსურს ბნელ შკაფში უოფნა, — ამბობდა მსუქანი ქალი, — გამიგონია, მაგას თერთმეტი ცოლი კიდევ სხვა ჰქვასო. — შენ მეთორმეტე იქნები, — უპასუხა ჩინელმა, ამაღამ, როგორც-კი დაიჭრანჭუნებს შკაფი, მაძინვე დაგწერთ ჯვარს. ეს ისევე ცხადია, როგორც ის, რომ შე ჩინელი ვარ — დაქნია თავი და დაიძინა. საბრალო ქალი კი ტირილით შესცქეროდა ბუხრის მშქნდელს.

— იცო, რას შეკვევდრები? წავიდეთ სადმე, რადგანაც წყნოთვის აქ დარჩენა შეუძლებელია. — შე მზადა ვარ, რაცა ცსურს, ავასრულო, წავიდეთ სასქაროდ! იმედი მაქვს, ჩემის სეკლობით შენც შეგინახო.

— ნეტავი კი ამ მაგიდიდან ჩავიდეთ უვნებლად! მხოლოდ მაძინ დავუძომძინებები, როდესაც აქედან შორს ვიქნებით. ახალგაზრდა ბუხრის მშქნდელი ამშვიდებდა ქალს; ახწავლა, როგორ უნდა დაედგა ფეხები მაგიდის კიდესე და თავის კიბის შემწეობით ჩამოაჯანა ძირს, მაგრამ უეცრად დაინახეს, რომ შკაფსე ამოჭრილი სურათები ამობრავდნენ. ირშებს დაეგრძელებიანთ კისრები და თავის რქიან თავებს აქეთ-იქით ატრიალებდნენ; თხის ფეხება „ობერ უნტერ-ლენერალ კრიგ-სკომანდირ-სერჟანტი-კი მოსუც ჩინელს უევიროდა: „ისინი შირბიან! ისინი გარბიან!“ —

გაქცეულები შეძინდნენ და სწრაფად შიამხლნენ ფანჯრის ქვედა განჯინაში. იქ საში თუ ოთხი სელი არეული სათამაშო ქალღლი ევარა; იქვე იდგა ჰატარა ტიკინების თატარი. რაც კი შეიძლებოდა, შეესწორებინათ და აპირებდნენ შიგ წარმოდგენის გამართვას. წინა რიგში ისინდნენ ქალები ევაკების, აგურების, ჯვრების და „ჩერკებისა,“ შათ უკან კი იდგნენ „ვალეტები“ და სტიროდნენ თავის გამოჩინას. წარმოსადგენი იყო ორი შეევარებული, რომელთაც ჯვრის და-

წერა ვერ მოეხერხებინათ. იმათ დანახვაზე მწეპსმა ქალმა მწეპსმა რე ქვითინი ამოუძვა, რადგან თითონაც ასეთ ბედს განიცდიდა.

— ვერ ავიტან ასეთს სანახავს! — სთქვა ქალმა: — გავიდეთ განჯინიდან.

მაგრამ, როდესაც იატაკზედ გადმოხტნენ და მაკიდისკენ შეიხედეს, დანახეს, რომ მოსუც ჩინელს კიდევ გაღვაძებოდა და და მთელის სსეულთო ქანაობდა აქეთ-იქეთ. ოჰ! ბებრუცუნა ჩინელი ზვენსკენ მოღის! — დაივირა ქალმა და მწეპსარებით დაეცა ფაიფურის მუხლებზე.

— აი, რა ვქნათ, — სთქვა ბუხრის მწმენდელმა: — შევტოტედეთ ვარდების დიდ ვახაზე, კუთხეში რომ სდგას; იქ გავეხუთოთ ვეავილების ფოთლებში და, თუ ჩინელი მოვიდა, თვალებში მარილ-წყალი შევასხათ.

— ეს ვერ გვიძველის — უპასუხა ქალმა. თანაც მე ვიცა, რომ ვეავილების ვახა და ჩინელი როდესაც დანიშნულები იყვენ, და ასეთს ხალხს უოკელთვის ერთმანეთში კარგი მუგობრობა აქვს კიდევ. არა! არა! საჩქაროდ უნდა წავიდეთ აქედან.

— მაშ, ნამდვილად გადასწევიტე ჩემთან წამოსვლა? ჰკითხა ბუხრის მწმენდელმა. — მოიფიქრე კი, რამ სივართეა დედამიწა? წასვლის შემდეგ აქ სომ აღარ დავბრუნდებით!..

— გადასწევიტე — უპასუხა ქალმა. ბუხრის მწმენდავი დააცქრდა და უთხრა: ჩემი გზა ჭვარტლიან მილში მიდის. შეგწევს ძალა, რომ ამერე ბუხარში, რკინის მილში და მერე საჩქაროში? ბუხარში თუ გავმეერთ, მერე მე ვიცა!.. ავალთ იმ სიმაღლეზე, რომ იქ ეკენი ვეღარ შესძლებენ ამოსვლას; ზვეით კი სახურავში სანათური, რომელიც გვიხსნის მთელის ქვეყნის გზას. ბუხრის მწმენდელმა მიიყვანა ქალი ბუხ-

რის კარებთან.— ოჰ, ღმერთო როგორა ბნელა აქ! —
 ქალმა, მაგრამ მაინც ხალისით მისდევდა ბუხრის მწმენდავს...

— ზი, კიდევ ავედით ბუხრის მიღში, აბა, ერთი ზევით
 აისვდე: რახაირა ბრწყინავს მოკვიციძე ვარსკვლავი“.

მართლაც, ვარსკვლავი სსივს პირდაპირ იმათა ჭფენდა,
 თითქოს ვხას უნათებდა. ისინიც მიტოტეავენ თანდათან ზე-
 ვით, მღვლა, მღვიან ბნელი მოვზაურობა მოუსდათ; ბუხრის
 მწმენდავი ძველოდა ქალს, უჩვენებდა საუკეთესო ადგილებს,
 სადაც ქალს უნდა დაედგა თავისი ფაიფურის ფეხები. ამ გზით
 უვნებლად მიადწიეს საკვამლო მილის კიდეს და ჩამოსხდნენ
 ზედ დასასვენებლად.

ზემოდ ცას კაშკაში გაჭქონდა, ქვეშ კი მთელის ქალაქის
 სახლების სახურავები მოსჩანდა. თვალ-გადუწვდენელ სივრცე-
 ზე სჩანდა ვეელაფერი. საწუალ მწვემს ქალს არ ეგონა, თუ
 ქვეყანა ასე ვრცელია; ის დაეუბნო თავის ბუხრის მწმენ-
 დლის მხარზე და ისეთის გულ-ამოსკვნით დაიწყო ტირილი
 რომ ქამრიდან ჩამოუვარდა ოქროს სამკაული.— ეს მეტის მე-
 ტია! — წამოიძახა მან, — ამას ვერ ავიტან; ქვეყანა ძლიერ
 დიდი უოფილა! ნეტავი წინანდებურად ვიდგე მაგიდაზე სარ-
 კის ქვეშ! მანამდის ვერ გავძხიარულდები, სანამ იქ არ და-
 ბრუნდები. წამოგვევი თვალუწვდენელ ქვეყანაში და, მენი სი-
 ვარული თუ მოტეუება არ არის, გამაცლიე ისევ მინ.

ბუხრის მწმენდავი სცდილობდა ქალის დამშვიდებას; აგო-
 ნებდა მოხუც ჩინელს და თხის ფეხება „ობერ-უნტერ-კრიგს
 კომანდირ სერჟანტს“; მაგრამ ქალი ისე გულ-ამომჯდარი
 სტიროდა და მხურვალედ ჰკოცნდა ბუხრის მწმენდავს, რომ
 დაემორჩილა ქალს, თუშცა იცოდა, ასეთი საქციელი უწყე-
 რობააო. დიდის გაჭირვებით დაეძვნენ ისევ იმ გზითვე უკან;
 გაიბრეს საქარო და რკინის მილი — საკვამლე და შენერდნენ

ბნელ ბუხარში; უნდოდანთ გაგვით, რა ჰსდებოდა თანხში ოთახში სიჩუქე იყო. გაიხედეს ბუხრის კარებში და დაინახეს, რომ მოხუცი ჩინელი იატაკზე ეგდო; როდესაც გამოეკიდა გაქცეულებს, გადმოვარდნილიყო მაგიდადან და დაძსხვრეულიყო; ზურგი ცაღვე ეგდო; თავი კი ოთახის კუთხეში გაკორებულყო. თხის ფეხებზე „უნტერ ოფიცერი“ კი ასევე თავის ადგილას იდგა, ფიქრში წასული.

— ეს სომეხი ხომ არაა! — შეჰუვირა მწევესმა ქალმა; — მოხუცი ჰანა დაძსხვრეულია და დაძსაძევენი ჩვენს ვართ! ამას ვეღარ ავიტან! — იძანდა მწევესი ქალი და თითებს იმტვრევდა სიმწრითა.

— დაწებებ კიდევ შეიძლება, — ამპვიდებდა ბუხრის მწმენდავი! სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემი! როდესაც შეაკეთებენ და უკან კისერში ნაჭერს ჩაუსვამენ, კიდევ ბევრ უსიამოვნებას მოგვაყენებს!

— შენ აგრე გკონია? — ჰკითხა ქალმა; ავიდნენ მაგიდაზე და ისევე თავთავიანთ ალაგას დადგნენ.

— აი, რით გათავდა უველაფერი! — ჩილიაპარაკა ბუხრის მწმენდავმა — ამისათვის სწორედ არ ღირდა ამდენი ჯაფა.

— ნეტავი კი მოხუცი ჰანა გააკეთონ და შეკტი არა მინდა რა! — სთქვა ქალმა. — ძალიან ძვირად არ დაჯდება.

ჩინელი შეაკეთეს კისერში ნაჭერი ჩაუსვეს. როგორც ახალი, ისე გამოვიდა, მხოლოდ ახლა თავს ვეღარ ახანტურებდა.

— მკონი, კეთილის გულისა შეიქენით მას უკან, რაც დაიმსხვერით, დასცინოდა თხის ფეხებზე „სერჟანტი“ მაგრამ საამაუო მხინც არაფერი გაქვთ; მიძანუსეთ, მომათხოვებთ ქალს თუ არა?“ ბუხრის მწმენდავი და მწევესი ქალი თითქმის თვალ-ცრემლიანები შესცქეროდნენ ჩინელს; ეძინო-



დათ, ვაბი თუ თავი დააკანტუროსო; მაგრამ ჩანელს ამის შესწავლა აღარ შესწევდა; თანაც რცხვენოდა, გაემქლავნებინა, რომ კისერში ნაჭერი მიხისო. ამგვარად შეუვარებული ფაიფურები განუერყლნი დაიწნენ; ღოცავდნენ ჰაზას კისრის ნაჭერს და იქამდის უვარდათ ერთმანერთი, სანამ არ დაიძსვნენ.

კორდელი.



წერილი
1903



მ ვ ბ

(თარგმანი)



რთი ღარიბ-ღატაკი კაცი მივიდა მდიდართან და მოწულებს სთხოვა. მდიდარმა არაფერი არ მისცა, ზირიქით გაუჯავრდა და უთხრა. — დამეკარგე აქედან!


ღარიბი კი ფეხს არ იცვლიდა. მდიდარი გაჯავრდა, წამოუსვა ქვას ხელი და ესროლა მთხოვარს. ღარიბმა აიღო ქვა, ჩაიღო იღლიაში და სთქვა:


— იმ დრომდის ვატარებ ამ ქვას, ხანამ არ დამიდგება დრო, რომ ეს ქვა იმასვე ვესროლოვო.

მალე ასეთი დროც დადგა. მდიდარმა ცუდი საქმე იკადრა: წაართვეს უოველივე, რაც-კი რამ ებადა და საპურობილეში წაიუვანეს. როცა მიჭუვდით, გზაზე ივივე მთხოვარს შეხვდა, გაშიღო იღლიდან ქვა და მოუღერა სასროლად; ბოლოს დაფიქრდა, ქვა ძირს დააგდო და სთქვა:

— ტუვილად ვატარებდი ამდენ ხანს ამ ქვას: როცა მდიდარი და ძლიერი იყო, მემინოდა იმისი, ასლა-კი მეცოდებო.

დ. ბოცვაძე





ჯ მ ჯ მ

(ვაგნერისა)



ოჯო უმანკო, სრულებით უვნებელი ქვეწარმავალია. ადამიანს არავითარ ზარალს, ვნებას არ აუენებს, სცხოვრობს ტუეში და სჭამს წვიმის მატლებს და ლოკოკინებს. ზაფხულში, მზიან დღეში, რგოლივით დაკლავილი, მზეზე სიაშოვნებით თბება და სხვა და სხვა ნათელ ფერებით ელვარებს. შემოდგომასე კი, როდესაც ცივი, სუსნიანი ამინდები დგება, თავის სოროში მიძვრება, თავისებურად მოირკვლება და სხვა ამხანაგებთან ერთად მთელ ცივის ზამთრის განმავლობაში იქა რჩება; ამ დროს სრულებით შექვდება, ზამთარს ღრმა ძილში ატარებს და ამიტომაც ამ ხანგრძლივ დროს უსაჭმლოდ სძლებს. დადგება თუ არა გაზაფხულის თბილი დღეები, ჯოჯო იღვიძებს, სტოვებს თავის სოროს და მზის სინათლეზე გამოდის. მთელის დღის განმავლობაში არაფერს არ სჭამს, მხოლოდ საღამოობით ჭიებსა და ლოქორიებს შეექცევა. დაინახავს თუ არა ჭიას, მიძინვე თავის ჰატარა ბასრის კბილებით დაიჭერს. მატლი იძახება, იკრისება, უნდა განსაცდელი თავიდან აიშოროს და თავისუფლება იძიოს, მაგრამ ჯოჯოს მაგრად უჭირავს კბილებით, ხანამ მსხვერპლს დონე არ გამოეღევა და მისი მოძრაობა ხელი და მოდუნებული არ შეიქმნება. შეძვეტ ჯოჯო ჭიას ელახას დაუწეებს, თავს ხან აქეთ, ხან იქეთ ჭხრის, ჰირისაკენ უფრო და უფრო მეტი ნაჭრები მიაქვს, ხანამ ბოლოს სრულებით არ გადაჭელაპავს. წვიმის დიდი ჭია რომ გადაჭელაპავს, ჯოჯო ამისათვის ექვს-შვიდ წამს ანდომებს, სამაგიეროდ საკმარისია ორი ასეთი ჭია შესჭამოს, რომ მთელი დღე მძღარი იყოს.

არ შეგეშინდეთ, თუ ოდესმე ჯოჯოს შესვლეთ: შეგიძლიათ სულშიაც აიუფანოთ, არ ციკებნთ, არც რაიმე ვნებას მოგაუენებთ, მაგრამ ამასთანავე სიფრთხილე გძარბოთ, რომ ადვილად არ შეაშინოთ. შიშისაგან ჯოჯო ორნაწილად გადატყდება. უკანა ნაწილი ანუ კუდი კიდევ დიდხანს იკლანება ეოველ მხრივ, თითქოს კერძო, განსაკუთრებული ცხოველიაო. ტანის წინა ნაწილი ხელიდგან გაგისხლტებათ და ისე დაიძაბლება, რომ ადვილად ვეღარც კი იზოვით. ამავე ღონეს მიჰძარბავს სოლმე ჯოჯო, როდესაც რაიმე სიფათიან განსაცდელი მოელის ამა თუ იმ იმასვად უფრო ღონიერ ცხოველისაგან. კუდის დაკარგვა სრულებითაც არ აწუხებს ზეენს ჯოჯოს, რადგანაც რამდენისამე ხნის შექდეკ მველის მაგივრად ასალი კუდი ეზრდება. უმთავრესი უბედურება ჯოჯოს იმ არის, რომ გველსა ჰგავს, თუმცა სვლიკის მასლობელი ნათესავია. ტანი ჯოჯოს გველივით გრძელი აქვს; არა აქვს აკრედეკ ფეხები, დაფარულია ქერქით და ისე, როგორც გველები, გამოჰყოფს ვიწრო, ორად გაყოფილ ენას, რომლითაც საუნებსა სინჯავს.

თვალეები ჯოჯოს გველივით ტუავით არა აქვს დაფარული, არამედ ქუთუთოებით და მეტად გამჭრიანია. დანარჩენში ისე ჰგავს გველს, რომ ადამიანებს დიდხანს ეს ცხოველი გველი და მასთანავე მეტად მხამიანი ეგონათ. ამ მსგავსების გულისათვის ჯოჯოებს უწეალოდ ჰსოცავდენენ, თუმც, როგორც ვიცით, მავნებელი არ არის, ჰირიქით — უფრო სარკებლობა მოაქვს, რადგანაც ანადგურებს წვიძის ჭიებს, ლოქორიებს და სხვა მწერებს, რომელნიც ძალზე აფუჭებენ ბაღებსა და ბოსტნებში საუკეთესო, საგანგებო მცენარეებს.

დ. ეოიანი





პირის თავგადასავალი

XXIV ჟურნალი

(ფრანგულით)



ბრიგადირი გავიდა, ფინი-კი დააკლო დიდად შეწუსებული. „ნეტავ გაიძვერამაც ჩემსავით ილაპარაკოს, — გაიფიქრა გუნებაში: — კაი ბოლო არ მოგვექვს!“

გაიძვერამ რომ დაინახა ბრიგადირი, მამინვე იგრძნო, საქმე წასულიაო, მაგრამ მოიკრიბა ძაღლივით და ცივად შეხედა ბრიგადირს. „აქ რამ მოგიუხანა ხერხე დაჭრილი და შეკრული? — შეკვითხა ბრიგადირი.

— რა ვიცი, — უპასუხა გაიძვერამ.

— ის რომ იცი, ვინცა ბძანდები.

გაიძვერა. რა თქვენი საქმეა ჩემი ვინაობა!

ბრიგადირი. მამ, არ მიპასუხებ, ვინა ხარ?

გაიძვერა. ვიცი, ვინცა ვარ და სადაც მივდიოდი, მაგრამ ვინ დაძვრა, ის კი არ ვიცი.

ბრიგადირი. მამ, აბა, მიპასუხე ჯერ, ვინა ხარ. თუ არ შეტყვი, საჭურბილეში გაგკ სავნი.

გაიძვერა. ღვინის ვაჭარი ვარ.

ბრიგადირი. კვარი?

გაიძვერა. რობერტ ჰარტო.

ბრიგადირი. სად მიდიოდი?

გაიძვერა. აქეთ-იქით ღვინის სასეილვად.

ბრიგადირი. ამხანაგიც კვავდა?

გაიძვერა. დიაღ, ერთად კვავებოდით.

ბრიგადირი. ჯიბეში ქაღალდები გეღო, იცოდი, რა ეწერა შიგ?

გაიძვერამ შესედა ბრიგადირს. „უთუოდ წაიკითხა ქაღალდებიო“, იფიქრა და ასლა უნდა გამოძვეროსო, მაგრამ ვერ მივართვია და უნახუსა:

გაიძვერა. რასაკვირველია, ვიცოდი, ავაზაკებს დაჰპარგოდათ, მიძიქნდა ქალაქში ჟანდარმთან.

ბრიგადირი. საიდან გქონდათ ქაღალდები?

გაიძვერა. გ'სახე ვინოვნეთ მე ზ'ჩემმა ამხანაგმა და იმისთვის გავეძურენით ღამე, რომ ჟანდარმისთვის მიგვეტანა.

ბრიგადირი. დანები რომ გინოვნეს?

გაიძვერა. დანები ვიუიდეთ თავის დასაცველად, რადგან გვითხრეს, ავაზაკები დადიანო ამ მხარეს.

ბრიგადირი. ვინ დაგჭრათ შენა და შენი ამხანაგი?

გაიძვერა. ავაზაკებმა. ისე დატყვევნენ, რომ ჰერცკი დავინახეთ.

ბრიგადირი. ფინიამ ატრე არ მითხრა.

გაიძვერა. ფინიას შიშით გონება დაეხანა, მისი ლაპარაკი დასაჯერი არ არის.

ბრიგადირი. მართალია, არც მე დაუჯერე, როგორღაც არც შენი ძვერობა, გაიძვერა, რადგანაც ესლა გამოძიებელი და გიცხანი, რომ გაიძვერა ბმანდები.

გაიძვერა მისვდა, რომ აღვიარა ამხანაგის ვინაობა. ფინია უწოდეს კატორგაში დაცინვით. გაიძვერას ნამდვილი გვარი იყო ზარტე, მეტი სახელი „გაიძვერა“ დაარქვა ფინიამ. ასლა უარს ვეღარ იტყოდა, მაგრამ არც უნდოდა გამოძიებდარიყო, შეიშმუნა მხრები და სთქვა. „განა მე ნამდვილ ფინიას ვიცნობ! მე მეგონა ჩემ ამხანაგსაც ეგ სახელი უწოდეთ დაცინვით“.

— კარგი, კარგი! როგორც ვინდა, ისე იფიქრე. ეს კი ვიცაი, სულ ტყუილია, რაც მიაძბე; თქვენს ღვინის ვაჭრობა,

გზაზე ქალღმების ჰოვნა, დანების თავის დასაცველად ავაზაკების დაცემა და დაჭრა. ეს ეველა ხომ თქვენი ნათქვამია.

გაიძვერა. დიაღ, დიაღ, ეგ ნამდვილია.

ბრიგად რი. ეგ სულ მოგონილია, ზღაპარია, რადგან მენ-
 მა ამხანაგმა სულ სხვა რიგად ილაპარაკა.

— რა ილაპარაკა? — შეეკითხა აღელვებით გაიძვერა.

— ახლა საჭირო არ ზრის, როცა კატორგაში წახვალთ, მაშინ გაიმბობს თითონ.

ბრიგადირი გავიდა და, წარმოიდგინეთ, რა გაანხსლებუ-
 ლი დარჩა გაიძვერა.

— როგორ გგონიათ, ბატონო ტიდიუ, — შეეკითხა ექიმს ბრი-
 გადირი, ეს ავაზაკები ხომ აიტანენ გზას, რომ წავიყვანოთ?

— მგონია, თუ წინარად წაიყვანთ. ერთს კი ძრიელ აქვს
 თავი გატყენილი და სამართს დღეში შეიძლება მოკვდეს.

ბრიგადირი ჩაფიქრდა, თუმცა ავაზაკები არ ებრალეებოდა მაგ-
 რამ მაინც კეთილი კაცი იყო და არ უნდოდა ტანჯვა მიე-
 უნებინა. მაშინ ზიერის მამამ ურჩია ურმით წაეყვანათ. ბრი-
 გადირმა მადლობა გადაუხადა. როდესაც შეაბეს ურეში, ჩასხეს მკ
 ფინია და გაიძვერა, ორი ქანდარმიც მიკ ჩაუსხდნენ, ფეხებიც
 შეუკრეს, არ გაკვექცნენო, ბრიგადირიც ცხენით გვერდზე მის-
 დევდა. მალე მიკვეყნდნენ, და შედაურჩი აქვე, ბალახს ვმოვლი
 და ველოდი მოუთმენლად ემაწვილებს, ნაძებნავად ჩემ საეკვარელ
 ჰატარა ჟაკს, რომლის ნახვაც ძალიან მომენატრა. ამ ამბის შემ-
 დგე მამატიებდნენ ჩემ წარსულ შეცდომებს.

როდესაც კარგად გათენდა, ეველა ადგა და ჩაი დალიეს,
 დავინახე, მთელი ჯგუფი ემაწვილებისა ჩემკენ მორბის; მომიან-
 ლოვდნენ, მომიანლოვრეს, მაგრამ ჟაკივით კი არაზინ მიცხადებდა
 სიყვარულს.

— ჩემო კარგო კადიმონ, ძლივს არ დავინახე! ძალიან
 ვწუსდი შენს წასვლას! ხედავ, ძვირფასო კადიმონ, რომ ისევე
 ეველას უეგარხარ?

კამილა. მართალია, ძალიან გამოკეთდა.
მადლიერა. ისეთი ჯიბეი შესედულელებაც აღარა აქვს როგორც
წინადა.

ელმა. თავის ამხანაგებსაც აღარა ჰქვამს, არც ძაღლებს
ერის.

ლუი. ჰგვიანდაც სდგას ხოლმე, როცა ჰქაზმენ.
გენრიეფა. აღარც თაიგულებსა სჭამს, ხელში რომ მიჭი-
რავს ხოლმე.

ენა. წიხლებსაც აღარ იხვრის, როცა ზედა სხედან.

ბიერ. ჩემ ცხენსაც უკან არ მისდევს საკებნად.

ჯაკ. მთელი ბოსტნეული და ხილი გადაგვირჩინა ქურდუ-
ბისაგან.

გენრიხი. იმ ავაზაკებსაც თავები გაუტყვა.

ელიზა. ნეტა როგორ დააჭვრინა ქურდები?

გენრიხი. არ იციან როგორ, მხოლოდ ძალზე თურმე ურო-
ეინებდა და დაღლიბა ჩვენი მამა-ბიძები და მოსამსახურენი,
რომელნიც გამოცვივდნენ და დაინახეს, კადიშონი ბაღისკენ
მირბის; ეკვლანი მიჰყვნენ ფარნებით და წაადგნენ გადანგრეულ
კედელს, სადაც აზოვნეს ორი გულმეწუხებული, ქურდი.

ჯაკი. როგორ შეიტყვეს, რომ ქურდები იყვნენ, განა სა-
ხესე ან ნაცმაზე ეტეობოდათ ქურდები არიანო?

ელმა. დიად, სულ სხვანაირები არიან; ერთხელ ვნახე
ქურდები, რაღაცა წუკტიანი ქუდები ესურათ, ეავის ფერი წა-
მოსასხმები, ესნათ, ბოროტი შესედულეებისანი იყვნენ, დიდ-
რონი უღვაშები ჰქონდათ. სადა ნახე, როდისაო, შეკითხნენ
კმაწვალები.

ელმა. სამთარძი ვნახე ფრანკონის თეატრში.

გენრიხი. სა... სა... სა... რა სისულელეა! მე შეგონა მარ-
თლა ქურდები ნახე სადმე, როცა მოგზაურობდი და გამოიც-
და, რატომ ბიძამ და ძალუამ არ გვიამბეს მეთქი.

ელიზა. (ნაწყენი). რასაკვირველია, ძართალი ქურდები ვინ ვინ, ჯანდარმებიც მისცვივდნენ, ზოგი მოკლეს, ზოგი შეიპურეს. რა სასაცილოა? ძალიანაც შეშემინდა, რადგანაც საბრძლო ჯანდარმებიც დასწრეს.

ბიერ. ხა... ხა... ხა... რა უცნაური რამა ხარ! წარმოდგენაში გინახავს ეტ ეოველივე. მაგას არდგებენ მსახიობნი, რომელთაც ჯამაგირს აძლევენ და საღამოობით ხალხის გასართობად წარმოდგენებს ჰმართავენ.

ელიზა. თუ კი დახოცეს, რაღას წარმოადგენენ?

ბიერ. მაშ, არ იცი, რომ ძართლა კა არა კვდებიან, მხოლოდ ისე გვეჩვენება, და როგორც შე და შენ არ ვინც კებით, ისე ისინი.

ელიზა. მაშ, როგორ იცნეს ძამაძა და ბიძებმა, რომ ისინი ქურდები იყვნენ?

ბიერ. იმითი, რომ ჯიბეში დანები უპოვნეს, რომლითაც კაცებს სოცვენ.

ქაკ. როგორი დანებია კაცის მოსაკლავი?

ბიერ. როგორც... როგორც ეველა დანები...

ქაკ. მაშ, იქნება ჰურის საწრელად ჰქონდათ, და არა კაცის მოსაკლავად.

ბიერ. თავი მომაბეზრე, ქაკ: ეველაფერი გინდა შეიტყო და აღარ ძაცლი ღაპარაკს. ქაღალდებიც უპოვნეს, საცა ეწერა ჩვენის ბოსტნეულისა, უნდა მოვიპართო. ძღველიც უნდა მოეკლათ და ბევრი სხვანიც.

ქაკ. ჩვენ რატომ აღარ უნდა მოვეკალით?

ელიზა. იმისთვის რომ იცოდნენ ძამიჩვენისა და ბიძების სიმამაცე, რომ იარაღი ჰქონდათ და ეველანი მივეშველეობოდით.

გენრიხ. დიად, შენ დიდ შეკლას გაუწევდი, რომ დაგვეძობდნენ.

ელიზა. მეც ისე მივეშველებოდი, როგორც თქვენ და მის კარგად წავწვდებოდი ქურდს, რომ მამა არ მოეკლა.

კამილა. კარგი, ნუ წსუბობთ, დააცალეთ, ზიერმა გვიამბოს, რაც იცის.

ელიზა. ჩვენც კარგად ვიცით, რად გვინდა მისი ნაამბობი.

ბიერ. მამ, რაღათ შეკითხებით, რითი შეატეო მამამ, რომ ქურდებია ივენუნო?

— ბატონო ზიერ, ბატონო გენრიხ, ოგიუსტი გემებთ, — მონასენა შებაღემ, რომელსაც სამსარეულოში მიჰქონდა ბოსტნეული.

— სად არის? შეეკითხენ ზიერ და გენრიხ.

— ბაღშია, რადგან კადიმონისა ემინიან.

მე ამოვიოხსრე, საწვალ ოგიუსტს უმიხვოდა არ ემინოდა ჩემი მას შემდეგ, რაც დავმართე. უნდა იმასაც შევაუვარო თავი, და გაუწიო რაიმე სამსახური, რათა დაუმტკიცო, რამ სინანულსა ვგრძნობ და მას უკან შევიცვალე ხსნაითი.

ან. ამილახვარი

(შემდეგი იქნება)



ამოცანები

სუთი ვაშლი დაურიგე სუთ ბავშვს ისე, რომ ერთი ვაშ-
ლი კალათში დარჩეს.

ოთახს ოთხი კუთხე აქვს, უოველ კუთხეში თითო კაცი 'ხის
და უოველი კაცის ჰორდაპირ სამ-სამი. რამდენი კაცია ოთახში?

რ ე ბ უ ს ი

მე-4 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღწერა:

ას კაცს ასი თხა უხაროდა.

ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

მაღაზიაში იუიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . . 30 კ.

სომხის თავ გადასავალი, თხზულება, მარკო ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 50 კ.

რას გვიამბობს ოთახი, თხზულება ზეენა-რიუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 20 კ.

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდე.

საქმაწვილო სურათებიანი ეურნალი

ნაკადული

წელიწადი მთავრდება

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა:

24 წიგნი ეურნალი „ნაკადული“
ლი“ მცირე წლოვანთათვის

12 წიგნი ეურნალი „ნაკადული“
მოზრდელთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემა:

- I. დედაიფა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ევალდისა კეჭისა სურათით. — II. მარჯნები, — ზღაპარი ევალდისა თხისა სურათით. — III. თორმეტი და, — ზღაპარი ევალდისა ერთი სურათით. — IV. ქართული მხატვრული ასოები კუბიკაზე.

ეურნალს ხელმძღვანელობს ს. ეწვეს საჯანგებოდ არჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ეურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარის წლით სამი მან.

სამწევარ კარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანს შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის კროსკ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) ეურა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-ახნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მოწერით:

ვისაც ეურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.